


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, ბოლომდე ბეჭდუდი სიფყვას, ცყულებით და ჭებობით ბუდის გაფანა ყულა უკადრისდბაჩე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.
 სუთხაბათი, 11 სექტემბერი, 2014 წელი.
 №184 (7565)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

სუთასკაცნიანი ალექსანდრა ჟიკაიძე:

ნაცბანდა

ქვეყანაში ②


ქაოსის

უასაქმნელად

ეგზადებოდა!




ჩვენ არ დავუშვებთ, რომ მათ ქვეყანაში შექმნან ქაოსის ილუზია, ყველამ გაიგოს, ვინც ანტიკონსტიტუციური გზით წავა და ქვეყანას საფრთხეს შეუქმნის, კანონის წინაშე ყველა უმკაცრესად დაისჯება!




⑧ „პუტინ... ჩვენ უკვე გზაში ვართ!“

„ისტორია ქეუმარტის მებყუელაბა არს“ ⑥



მაგტი MAGTI

ჩვენ პართულ სამხვს ვაკეთებთ



④

მხატვარი

მიტოვებული

ქურიდან

© დღის ამოჯანჯურიდან



უკარკო კარკის ქალები

თბილისში. ჩუღურთში გაგონილი და ჩანარილი

– ამ ბოლო დროს ტყუილმფრქვევი „რუსთავი-2“-ის ეკრანიდან თითქმის ყოველდღე გვეუშვებიან და ათას ცოდვაში გახვეულ ნაციონალთა გამართლებისა და გადარჩენის ლოცვებს ალავლენენ ძველი კარვის ქალების ახალი შთამომავალ-მემკვიდრენი, რომელთაც მზეჭაბუკ ღვთაებად დაუსახავთ ძებნილი დემოკრატიის ჩამქრალი შუქურა – სააკანთ ქოჩორა ბიჭი... ლოცვა-ვედრებაში ერთმანეთს ენაცვლებიან პოლიტიკის ცივ წყლებში მოყურჭუმაღლე, ან თანამდებობადაკარგული



ელენე ნოშტარია, ეკატერინე ლაშვილი, სანა მესამადაშვილი, რომელთაც გვერდს უმშვენებენ ეგრეთ ნოდებული არასამთავრობოები, დემოკრატიისთვის თვალბალვარღვარებული **ლაპიაშვილი, გიგაური, ლომჯარია,** და, რასაკვირველია, ხმანკრილა **წკრიალაშვილი.**

ვინ იცის, იქნებ სულაც თეთრ მანდილთ ამზადებენ ეს ჩვენი პოლიტიკას ვერ შელეული მანდილოსნები იმ „შესლა-შემოსლის“ დასაზავებლად, აგერ ახლა ასე დაბეჯითებით რომ დააანონსა ჩვენმა მდუმარე, მაგრამ შინაგანად მქექფარე, პუტკუნა შინაგან საქმეთა მინისტრმა...



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამბან ვერ ნახავ!..

პრეზენტაცია



ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

იმას, რასაც ქართული სახვითი ხელოვნებისთვის საქართველო...

საზაფხულო არდადეგებიდან დაბრუნებულ სახვითი ხელოვნების...

დავითიანი 1944 წლის 28 დეკემბერს. საბუთებში ჩამოწმებული 1945 წლის 2 იანვარი.

ოთხი წლიდან დედას ქალების საერთო აბანოში დავეყვარე. შენობა...

იმ დღის შემდეგ მამას დავეყვადი კაცების საერთო აბანოში. გაკვირვებული ვიყავი...

„ვენერდი და თაროზე ვანყოფიერი ნაშრომებს. ერთი-ორჯერ ვცადე...

ნახევარი საუკუნის გაზაფხული რომ მივითვალე, სურვილი გამიჩნდა...



ნიმე შტრინცი დაგუმატი, შევაკონინე და წიგნად ვაქციე. ვინაღაც მკითხველს ვთავაზობ მხატვარი კაცის ნაწახს, განცდილს, ინტიმურ გრძობებს.

მხატვარი მიტოვებული ქუჩიდან

ნიმე შტრინცი დაგუმატი, შევაკონინე და წიგნად ვაქციე. ვინაღაც მკითხველს ვთავაზობ მხატვარი კაცის ნაწახს, განცდილს, ინტიმურ გრძობებს.

თავიდან, ტილოს ცენტრში მცირე, მაგრამ ოსტატურად შესრულებული ლანდშაფტი მონიშნა.

რაც უფრო ჩაუღრმავდა ამ ნახატს, მით უფრო უკმაყოფილო დარჩა.

აბსოლუტში ახალი თავსატეხი წამოწმდა - როგორ დაემატებინა სურათში საკუთარი თავი?

მერე კი ერთგვარი ვერდიქტივით ამბობს: „ჩაგვალა არ არის ბუნების მხატვარი. ყოველ შემთხვევაში ბუნება ჩაგვალა ოპუსებში არც აქსესუარია, არც დეკორაცია, არც ფონი - ცხოვრების ნაწილია, გაბმული მელოდია...

ბატონი გოგი ჩაგელიშვილის ალბომის პრეზენტაციაზე კი, რომელსაც ქართული კულტურის მრავალი თვალსაჩინო წარმომადგენელი დაესწრო...

თვალის ერთი გადავლევით, რთული ბევრი არაფერია, მაგრამ მის შემოქმედებაში იმდენი შრეა ჩაკორული, რომ თითოეულის გახსნა ცალკე სამყაროს აღმოჩენის ტოლფასია.

ოთარ ტურაბალიძე

გუზინდელი ფოსტიდან

ვაპირებ სასამართლოში სარჩელის შეტანას

სამართალმცოდნე პარლამენტის თავმჯდომარის, ბატონ დავით უსუფაშვილს

მთავარ პროკურორს, ბატონ გიორგი ბადაშვილს

კურთხეულს ურცხვად ვაგინებთ, ცოდვებით ზეცა ზანზარებს გაიმანე ფაცაცია. თბილისი, 2011 წელი

ასე გამოსატყობად თავის გულსტიკვილს შესანიშნავი ფილოსოფოსი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე გერმანე ფაცაცია...

დავიღალეთ, დაიღალა ქართველი ხალხი ნაციონალთა ყოვლად ზნედაცემული, ზღვარსგადასული უზნეო საქციელით.

დაბეჯეთებით გთხოვთ, მიიღოთ გამამჭრელი ზომები პარლამენტის ტრიბუნლიდან, რადიო-ტელევიზიიდან და პრესის ფურცლებიდან გაუთავებლად ეკლესიის, მთავრობის, ხალხის ლანძღვა-გინების ალსაკვეთად.

მე, თენგიზ გრიგოლის ძე ონიანი, ერთი რიგითი მოქალაქე, ყველა ასეთ გამოსდომას ვეღებულვებ პირადად ჩემი პატივისა და ღირსების შეურაცხყოფად.

პატივისცემით, პოლიტსასამართლევი, თენგიზ ონიანი. თბილისი, 2014 წლის 10 სექტემბერი

კონტაქტები

შენგენის ქვეყნებთან უვიზო რეჟიმი ერთი წელში ამოქმედდება

სამართალმცოდნე მუშაობს იმ მიმართულებით, რომ 2015 წლის ბოლოდან 2016 წლის დასაწყისში ამოქმედდეს უვიზო რეჟიმი შენგენის ქვეყნებთან...

მისი თქმით, ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა შედგება ორი ფაზისგან, რომლიდანაც პირველი დასრულებულია და საქართველო გადადის შემდეგ ფაზაზე.

ინტერპრესი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„ის სიტყვები შენთვისაა, პუტინ... ჩვენ უკვე გზაში ვართ!“ — პუტინმა ისლამისტების მუქარა მიიღო. „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა ინტერნეტში ვიდეოჩანაწერი გამოაქვეყნეს, სადაც კავკასიაში, კერძოდ კი, ჩეჩნეთში ომის გაჩაღებით იმუქრებიან. ამის შესახებ ტელეარხი „ალ არაბია“ იუწყება.

ჩანაწერში მებრძოლები ძველ საბჭოთა თვითმფრინავთან დგანან. ერთ-ერთი ტერორისტი პუტინს უცხადებს, რომ მათ გადაწყვეტილი აქვთ ჩეჩნეთის და კავკასიის „გათავისუფლება“ და იქ „ისლამური ხალიფატი“ შექმნა. ამასთანავე, ჩანაწერში ტერორისტები სირიის პრეზიდენტსაც მიმართავენ და მას საპაერო თავდასხმით ემუქრებიან.

ამის პარალელურად, რუსეთის მიერ ხელდასმული ჩეჩნეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელი რამზან კადიროვი „რუსეთის დამშინებლებს“ განადგურებით ემუქრება. მისი თქმით, ვლადიმერ პუტინის სახელის არას-

დებებს არაბულ ორიგინალში გავეცანი და მთიანი კავკასია, ანუ ჩრდილო კავკასია და აზერბაიჯანი-საქართველო ვეცევა მათი დარტყმის ქვეშ. ალბათ, უახლოეს ხანში მათი მხრიდან კონკრეტული ძალისხმევა ამ მიმართულებით წამოვა. კავკასიის ისლამური იმარატი ამ დაჯგუფების მოკავშირეა, თალიბებთან ერთად. შესაბამისად, შეიქმნა ასალი ჯიჰადისტური ალიანსი, რაც აერთიანებს სამ გაველნიან ძალას — კავკასიის ისლამურ იმარატს (ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიას, ასევე, რუსეთის შიდა ტერიტორიებს — სტავროპოლის, ვოლგოგრადის, ასტრახანის მხარეს), ისლამურ ხალიფატს (რომელიც მოქმედებს ასლო აღმოსავლეთში, მესოპოტამიაში და აზიურებზე, გააგრძელონ გაველენა საუდის არაბეთსა და მალდივის ტერიტორიაზე) და თალიბანს (ცენტრალური აზია და შუა აღმოსავლეთი). გამორიცხული არ არის, ისლამურმა ხალიფატმა თავისი გაველენის ქვეშ მოაქციოს აფრიკის კონტინენტზე მოქმედი ისლამისტური დაჯგუფებაც“ — აცხადებს ვახტანგ მაისაია.

სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე პუტინის მიმართ ისლამისტების მუქარას პიარგანცხადებად აღიქვამს. for.ge-სთან საუბარში ექსპერტი აცხადებს, რომ ამ ტერორისტულ დაჯგუფებას ძალზე დიდი გზა აქვს გასავლელი, სანამ მსოფლიო გლობალურ პოლიტიკაში ჩაერთვება და რაიმე ტიპის სახელმწიფოებრიობაზე იქნება საუბარი. უბრალოდ, მათ ისარგებლეს ერაყში არსებული რელიგიური თუ ეთნიკური დაძაბულობით და იმით, რომ ერაყის ხელისუფლება ვერ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე და გაკვეთილი წარმატებები მოიპოვეს, რაც გიორგი თავდგირიძის აზრით, დროებითი წარმატებები უნდა იყოს.

„არა მგონია, ძალა შესწევდეთ, ფიზიკურად დაემუქრონ რუსეთს კავკასიის წართმევით. რადაკით ძალის დემონსტრირება ხომ უნდა მოახდინოს ამ დაჯგუფებამ? სწორედ ამას ემსახურება ისლამისტების განცხადება. ფინანსები, რომლებიც არსებობს არაბულ სამყაროში, მნიშვნელოვანია, მაგრამ არა მგონია, ასე მარტივი იყოს რუსეთის სპეცსამსახურების წინააღმდეგ მსოფლიოდ ფინანსებით ბრძოლა. არ იქნება პუტინი, მის მაგივრად სხვა იქნება. რამდენად ღირს ამაში ენერჯის და ფული დახარჯვა, ეს სხვა თემაა. მათ ეთნიკურად არაბებზე არ შესტივიათ გული და რატომღაც ასლა კავკასიელებზე რომ შესტივოდეთ და დარდით ინფოდენ, ძნელია დაჯერება.“

ამას საერთო არ აქვს პუტინურ და ადამიანურ ღირებულებებთან, ან თავისუფლებისთვის ბრძოლასთან. ისინი იბრძვიან, რადგან ხშირ შემთხვევაში, ამ ბრძოლის უკან დგას ფინანსები, გარკვეული პოლიტიკური ინტერესები, მღვრიე წყალი, მოუწყობელი სახელმწიფო სისტემები. ყველა თოფიან კაცს, რომელიც აქტიურად იბრძვის, სჭირდება რადაკ იდეოლოგიური ზაზისი და ასეთს პოულობენ ხოლმე. თვითონ არაბეთში ტომებს შორის დაუღაგებელი ურთიერთობაა და რატომღაც კავკასიის გათავისუფლებას ცდილობენ?“, — აცხადებს გიორგი თავდგირიძე.

საქართველოში ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელი მექა ხანგოშვილი for.ge-სთან საუბარში არ მალავს, რომ პუტინის მიმართ მუქარა მას სულაც არ წყენია, თუმცა, „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების ტვინი მას არასერიოზულად მიაჩნია. უფრო მეტიც, მათი მხრიდან მთლიანი კავკასიის თავიანთ რუკაზე გადატანასა და ხალიფატის შექმნასაც არაღამაჯერებლად უყურებს.

„არც კადიროვის ბოძვა მიმართა რეალობად. მთლიანობაში, ეს ჩვეულებრივი ურთიერთქმედების მაგალითია. პუტინის ბოლოდროინდელ განცხადებებს თუ დავაკვირდებით, პირიქით, პუტინი ცდილობს, იქეთ დააშინოს მსოფლიო. ორივეს მხრიდან მუქარა არასერიოზულია. ამის მიუხედავად, არ გამოვიციხავ, მუსლიმანურ სამყაროში ჩეჩნეთა გენოციდის გამო პუტინის მიმართ აგრესია არსებობდეს. როდესაც 1998 წელს ჩეჩნეთში პირველი ომი დაიწყო, ბევრი უცხო ადამიანი ჩამოდიოდა ასლო აღმოსავლეთიდან და ბრძოდა ჩეჩნების მხარეს რუსების წინააღმდეგ. მათი მხრიდან მხარდაჭერა პირველი არ არის. ჯერჯერობით თვითონ „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნის რეალობა კითხვის ნიშნის ქვეშ, ხოლო თუ შეიქმნა, ალბათ, შემდგომში მათი მხრიდან ჩეჩნების დახმარება რეალური იქნება. გამორიცხული არ არის, ისინი კავკასიელებს პუტინისგან გათავისუფლების მოძრაობაში დაეხმარონ“, — აღნიშნა მექა ხანგოშვილი.

მანანა ნოზაძე

დედაიძის ზურგზე



ბარაკ ობამა სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ ბოვიკაჟის პოზიციას ავიარაჩყვებისთვის ემზადება

უახლოეს პერიოდში ელოდებიან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიმართგას ერისადმი, რაც ემთხვევა 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის მორიგ წლისთავს და ბრძოლას ტერორიზმთან, მათ შორის, „ისლამურ სახელმწიფოსთანაც“. ამას გარდა, ამერიკის შეერთებული შტატები მოლაპარაკებას გამართავენ მოკავშირეებთან საუდის არაბეთსა და თურქეთში, რომლებიც მთელი რიგი მიზეზების გამო მხარს არ უჭერენ სამხედრო ოპერაციებს სირიაში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა 800 მშვიდობისყოფალს აგზავნის სამხრეთ სულანში ნაპოვის საბაღოებისა და თაჟიხის მოქალაქეების დასახებად

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში შესუსტდა ჩინეთის ეკონომიკის ზრდის ტემპები, პეკინი არ ამცირებს ინვესტიციების მოცულობას აფრიკის ქვეყნებში, აგრეთვე ისეთ ნაბიჯებს, როგორცაა სამშვიდობო კონტინგენტის გაფართოება, რაც მოწმობს იმის შესახებ, რომ ჩინეთის ხელისუფლება არ აპირებს, შეჩერდეს ამ მიმართულებით.

ილეთისა და აკინსტანის წყალდიდობამ 440-ზე მეტი კაცი იმსხვერპლა



ხელისუფლება დაახლოებით 700 ათასი კაცის ევაკუაციას ამზადებს, ვინაიდან მათი სახლები შეიძლება დაიტბოროს უახლოეს პერიოდში. წყალდიდობისაგან უკვე დაზარალდა 1,5 მილიონზე მეტი კაცი, რომელთა სახლებიც წყალმა დაანგრია. წყალდიდობამ გამოიწვია ზვაგები, წვიმებმა ასობით სახლი და ათობით ხიდი წაიღო.

აბოლას ვირუსი ლიბერიის არსებობას ემუქრება, განუხსნა ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა გააკოს უშიშროების საბჭოს

ბრაუნს სამუკაიმ აღნიშნა, რომ ლიბერიას არ გააჩნია „საკმარისი ინფრასტრუქტურა, შესაძლებლობანი ლოგისტიკაში, აგრეთვე საფინანსო რესურსები და პროფესიონალები, რომ დაუპირისპირდეს დაავადებას“. მას მიაჩნია, რომ საერთაშორისო გაერთიანება უფრო არსებით დახმარებას უნდა უწევდეს ქვეყანას. ადრე ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია იტყობინებოდა, რომ დაავადებასთან ბრძოლისათვის საჭიროა ნახევარი მილიარდი დოლარი.



„პუტინ...“

ჩვენ უკვე გზაში ვართ!“



წორად წარმომტქმელი წაბრძანდება იქ, სადაც მისი ძმები, ტერორისტები ლაშქრიან.

for.ge-სთან საუბარში ექსპერტი ვახტანგ მაისაია აცხადებს, რომ ისლამისტების მხრიდან მთელი კავკასიის გათავისუფლება რეალურია და, სამწუხაროდ, ეს უცილობლად მოიცავს აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიებსაც. აქ არ არის საუბარი, რომ პუტინმა უნდა ზღოს ჩეჩნეთა გენოციდის გამო, არამედ საუბარია პოლიტიკურად ისლამური ხალიფატის სახელმწიფოს აღმშენებლობისთვის ბრძოლაზე. ამიტომ ისლამისტებს არ აინტერესებთ, პუტინი იქნება რუსეთის პრეზიდენტი, მედვედევი თუ კისილოვი. შესაბამისად, ვახტანგ მაისაიას თქმით, მათი მუქარა პუტინმა უკვე საფრთხედ აღიქვა. ეს გამოიხატა რუსული საინფორმაციო საშუალებების ისტერიკაში, რომელიც სამსათაინი გადაცემა მიუძღვნეს ამ თემას.

„ისლამური ხალიფატი გაველნიანი ძალა გახდა და მან ჩანაცვლა „ალ-ქაიდა“. ეს არის გლობალური ჯიჰადის რეალური დამრტყმელი ძალა, ამის გამო ამერიკელებმა მას საპაერო ომი გამოუცხადეს. ეს ერთ-ერთი არეალია, სადაც რუსეთი და ამერიკა მჭიდროდ თანამშრომლობენ მათ გასანადგურებლად. ეს ანგარიშგასანევი ძალა აკონტროლებს სირიის ტერიტორიის 2/3-ს, ერაყის 1/3-ს, კონტროლქვეშ აქვთ ლიბანის მთიანი ტერიტორიის ზონა და თანდათანობით მათი დაჯგუფება — „ალ მუსრა“ უახლოვდება ისრაელის ტერიტორიას, მიდის გააფრთხილებს ბრძოლები შოლანის სიმაღლეებზე გაეროს სამშვიდობოებთან. ისლამურ ხალიფატში 40% დამრტყმელ ძალას, პირობითად, შეადგენენ ჩრდილო კავკასიიდან წასული მებრძოლები, დაახლოებით 15%-ს — ბოსნიელი მუსლიმანები, ხოლო 10%-ს — ალბანელი მებრძოლები. დანარჩენები — სხვა არაბული და მუსლიმანური ქვეყნებიდან წასული მოხალისეები და ადგილობრივი მუსლიმანები არიან. ეს სერიოზული ძალაა. მათ შორის, 2000-დან 2500-მდე ადამიანია გამოსული კავკასიის ჩრდილოეთი და სამხრეთი რეგიონიდან, აზერბაიჯანის ვაჰაბიტების რაოდენობა 200-დან 300-მდეა, ქართული წარმომშობის ისლამისტების რაოდენობა კი 150-ის ფარგლებშია.

ბოლოს და ბოლოს, არ დაგვავინწყდეს, ხუთი სავლელ მეთაური ქართული წარმომავლობისაა. ერთ-ერთია გაერთიანებული სამხედრო ძალების სარდალი — თარხან ბათირაშვილი (ამირ აბუ ომარ ალ-შიშანი). მათ განცხა-

გილოცვა

საუკუნე მიმაქვს მხრებით...



დღეს, 11 სექტემბერს, არც მეტი, არც ნაკლები - 102 წელი უსრულდება საქართველოს დამსახურებულ მასწავლებელს, ლირსების ორდენის კავალერს, სამამულე ომის მონაწილეს პირველივე დღიდან პოლიტიკურ (პოლიტიკ) ტიპის. შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, ძმისშვილები, ათასობით მონაწილე ულოცავს ამგვარად აღამიანს დაბადების დღეს და ჯანმრთელობას და კიდევ დიდი ხნის სიცოცხლეს უსურვებს!

თუ ქმარი საწოლში ეპოისტია

ზვიადობა ის ალტრუისტად ვაძვირთ?

რატომ, რომ სულ უფრო მეტი ქალი არის უკმაყოფილო თავიანთი რჩეულების ქცევით ცოლ-ქმრულ სარეცელში? ყველაზე ხშირად რა შეცდომებს უშვებენ მამაკაცები? როგორ გახადოთ საყვარელი ადამიანი მგრძობიარე და გამოცდილ საყვარლად? ჩვენი ექსპერტია - სექსოლოგი თამაზ ჯაბახიძე.

ვისა, ვგრძნობ სიამოვნება ინტიმური სიახლოვისაგან? - გვიამბობს ნათელა.

როდესაც მისი ქმარი დარწმუნდა თავის ძალაში და დაივიწყა წარსული ნეგატიური გამოცდილება, ცოლმა დაიწყო მისი ინტიმური ალბრდა... ცოლის მთავარი რჩევა იყო მარტივი: „ქალებს სჭირებათ, რომ არ ეშინოდეთ, გულლიად ესაუბრონ მამაკაცებს თავიანთი

ასეთი ქცევა ყოველთვის როდია დაკავშირებული ეგოიზმთან. პრობლემა ისაა, რომ თანამედროვე დონეზე აღზრდილი ხშირად ვერ ერკვევიან სხვაობაში მამაკაცისა და დედაკაცის სექსუალობის სხვაობაში. ჩვეულებრივად, ალბრდებისათვის ქალს გაცილებით მეტი დრო სჭირდება, ვიდრე მამაკაცს. ამიტომ უარის თქმა პრელუდიაზე არაფრით არაა გამართლებული.

მა თოჯინა როდი ვარ!

„ჩემ ქმარს ანზორს მკაფიოდ ვაგრძობინებ, რომ არ ვაპირებ დავრჩე დიდი ხნითა და ნაზი მოყვარების გარეშე“, - გვიამბობს თავის გამოცდილებას ლამარა. ახალგაზრდა ქალს მიაჩნია, რომ მგზნებარე სიტყვები, კოცნა, მოფერება და ხელის მოსმა, რაც წინ უძღვის სექსობრივ აქტს, სიყვარულის ერთ-ერთი დადასტურებაა.

„დარწმუნებული მინდა ვიყო იმაში, რომ ანზორს სურს, დარჩეს პირისპირ სწორედ ჩემთან, რომ მისთვის მე ერთადერთი და განუყოფელი ვარ. მე ვარ ქალი და არა თოჯინა და თავსე-საქცივი! ინტიმურმა სიახლოვემ სიახლოველი უნდა მიანიჭოს ორივეს“, - ამბობს ლამარა.



არ სურთ თუ არ ვიუქლიატი?

„ძალიან ხშირად სდებენ ბრალს თავიანთ მეუღლეებს საწოლის ეგოიზმში, მაგრამ ეს საყვარელები ყოველთვის როდია სამართლიანი“, - მიაჩნია ბუღალტერ ნათელას. 38 წლის რუსთაველის აზრით, ხშირად ძლიერი სქესის წარმომადგენლები უბრალოდ გამოუცდებლები და არაკომპეტენტურები არიან სასიყვარულო მეცნიერებებში. ისინი მოხარულები იქნებიან მიანიჭონ სიამოვნება თავიანთ გულისსწორებს, მაგრამ არ იციან, როგორ მიუდგინენ ამ ამოცანის გადაჭრას.

როდესაც ათი წლის წინათ ნათელამ გაიცნო თავისი დღევანდელი ქმარი სერგო, მისი კავალერი დიდად არ გავდა იდეალურ საყვარელს: „სერგო ძალიან მორიდებული იყო, მას თითქმის არ ჰქონია ინტიმური ურთიერთობა მოპირდაპირე სქესთან. არ ჰყოფნიდა ელემენტარული ცოდნა, ქალის ფიზიოლოგიას რომ შეესაბამებოდა“.

სურვილების, საყვარელი პოზების, ეროგენული ზონების, ორგაზმის მიღწევის საშუალებათა შესახებ. მე ასეც მოვიქევი - და მივალ-წიე კიდევ წარმატებებს: ჩემი ქმარი შესანიშნავი საყვარელი გახდა, ყურადღებიანი და მგზნებარე, ყურადღებიანი და მოხერხებული“.

გავუზიაროთ ერთმანეთს გამოცდილება

ნათელას ტაქტიკა სწორი იყო. თავდაპირველად მან თავის კავალერს მისცა შესაძლებლობა, მიეჩვიოს მას, დააღწიოს თავი წინათგრძობებსა და მოქმედებულ კომპლექსებს. აი, მერე დაიწყო მან მათი ინტიმური ცხოვრების „რეფორმირება“ ისე, რომ თავადაც მიეღო კმაყოფილება.

ბევრ წყვილში ერთ-ერთ პარტნიორს აქვს უფრო ღრმა გამოცდილება სასიყვარულო საქმეებში. ჩვენ დროს დამრიგებლის როლში უფრო ხშირად ქალი აღმოჩნდება ხოლმე. თანაც გამოცდილების უქონლობა დამახასიათებელია არა მხოლოდ მწვანე მოზრდილებისათვის, არამედ სოლიდური ასაკის მნიშვნელოვანი რაოდენობის მამაკაცებისთვისაც. ეს სავსებით ნორმალური სიტუაციაა? სექს-ინსტრუქტორის როლში გამოსვლით ქალს შეუძლია სარეცელის ეგოისტი და მოუხერხებელი - ნამდვილ კაზანოვად, დონ-ჟუანად აქციოს.

პრელუდია სადღაა?

მამაკაცების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული, სანწყინი და, ვთქვათ პირდაპირ, მიუტყვევებელი შეცდომაა პრელუდიებისადმი, წინასწარი მოფერებისადმი ნეგატიურობა. ბევრ ვაი-კავალერს სურს, დაიწყო სექსობრივი აქტი, როდესაც ქალი ჯერ კიდევ არაა აღზნებული.

დიდოსტატის კარიკატურა



მისი: გადავწყვიტე, წამო, ხელი მოვანეროთ სოფელს: ვენეციის კომისიას შაათანზე...? ნანახი და ტესტი მირბბ ბერძენიშვილისა.

სპეციალისტები დარწმუნებული არიან, რომ ხშირად მამაკაცური ეგოიზმის მიზეზი ინტიმური წარუმატებლობის შიშია. სწორედ იმპოტენციის შიში არ აძლევს საშუალებას მამაკაცს, იყოს ღირსეული საყვარელი. როდესაც „კეთილშობილი რაინდი“ იძირება საკუთარ შიშების სამყაროში, მას არ აქვს უნარი, ამოიცნოს ქალბატონის სურვილი და მოთხოვნები.

სწორედ ასეთ სიტუაციას გადაეყარა ნათელაც. თავის წინა მეგობარ ქალთან სერგოს ხშირად უძღვური ხდებოდა ხოლმე საწოლში. ნაცნობობის პირველ თვეებში მას უჭირდა, თავი დაეღწინა თავისი კომპლექსებისა და შიშებისაგან

ისწავლა ლაპარაკი

„თავდაპირველად მთლიანად ვემორჩილებოდი სერგოს სურვილებსა და მოთხოვნებს. ჩემი ამოცანა იყო, მიმეცა საყვარელი ადამიანისთვის შესაძლებლობა, ერწმუნა თავისი თავი“

ციცხალი ანაკლოტავი

- გუშინ შევედი სადარბაზოში და იქ მანიაკი არ დამხვდა?! - ეუბნება დაშა დაქალს. - ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა. - აი, აი მანაც სწორედ ეს წამოიძახა და გაიქცა... * * * სიზიჟის შრომა არ ყოფილა უაზრო - უბრალოდ მას საათობრივი ანაზღაურება ჰქონდა. * * * მადონისა ებრძვის ავადმყოფობებს, ჯანდაცვის სამინისტრო - ავადმყოფებს.

მომხდომი მონები საუცხოო ტირანები გამოდიან. * * * აღმოსავლური ორთაბრძოლების ერთ ცნობილ ოსტატთან ევროპელი მივიდა: - მე სრულყოფილად დავეუფლე ინგლისურ ტილოებს და ფრანგულ კრივს. თქვენ რისი სწავლა შეგიძლიათ ჩემთვის? - წარმოიდგინეთ, რომ მიდისართ ქუჩაში და უცებ გადაეყრებით შვიდ ბანდიტს, რომელთაგან თითოეულს თქვენი გალანგა და ფულის წართმევა უნდა. - მერე? - მერე ის, რომ მე გასწავლით, რომ ამ ქუჩებში არ უნდა იაროთ.



საქართველოს რესპუბლიკის გამოცემა: ua (უა) 070 4 (479 22) 5-323 ISSN 2233-3851 მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86 პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიანიშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ ძოგუშია 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაძე 514 33-33-24